საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/18

ქ. ბათუმი 09 ივლისი, 2019 წელი

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს №63 დადგენილების, „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №63 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N06-01/73 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, გადაწყვეტილების დანართის **მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.5. ქვეპუნქტი:**

,,3.5. **უვადო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ბსუ-ს პროფესორი** უნდა იყოს ბსუ-სთან აფილირებული პირი და ვალდებულია შეასრულოს ,,ა' კატეგორიის აკადემიური დატვირთვა.“

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**